



თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 23

„18“ მარტი 2015 წელი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.დ“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 122-ე მუხლის მე-4 ნაწილის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რათა მან უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, პირობით, აღნაგობის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით სოფელ იყალთოში ქვევრის სკოლა სახელოსნოს - „ქვევრის სახლის“ მშენებლობისათვის საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს 2 წლის ვადით გადასცეს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 4 შენობა - ნაგებობით (ს/კოდი №53.12.35.137, 4766 კვ.მ მიწა, №1 შენობა - 194,1 კვ.მ, №2 შენობა - 109,5 კვ.მ, №3 შენობა - 284,9 კვ.მ, №4 შენობა - 79 კვ.მ, 4766 კვ.მ მიწის ღირებულებით 56 700 ლარი, №1 შენობის - 194,1 კვ.მ. ღირებულება 9 700 ლარი, სულ 66 400 ლარი) და ამავე სოფელში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კოდი №53.12.35.144, 186 კვ.მ, ღირებულებით 4 200 ლარი).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის. ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



Handwritten signature in blue ink.

პაატა გიორგობიანი